



KA040151203098419

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ-ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 479/სა

14 / ივნისი / 2019 წ.

ბრძანება

მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე


„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტისა და წესის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და „მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის შესახებ“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 2 აპრილის №281/სა ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

- შეიქმნას მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა:
 - თამარ ზარანდია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
 - ფიქრია თათარაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;
 - მაია კოპალეიშვილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი;
 - სალომე ფრუიძე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - საბჭოს წევრი;
 - თეიმურაზ ჩიხრაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი;
 - ნანა ჭილაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი;
- საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს ერთი წლის ვადით.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ეკატერინე ქარდავა